

საბრძანებელი

10

საღამური

ყოველ-კვირიანი იუმორის ჟურნალი.

ქუთათუბრი უთაოზა რ კანჯეზებით გურთაოზა.



განა არ გიკვირთ
როგორ მოხდა ეს,
რომ ქუთათუბრი ბანკს თავი მოაძვრეს?...
მადლითგან იყო
ის ნაბოძები,

სულ გაძვალტყავდა, ხორცი არ ახლავს...
გულს სევდა უღრღინის
და შწუხარება...
მაბულიც საღალაც მიეპარება!
„ახალ“ თავს ეძებს,

ოკრი ზხით მართი კუხრდღელი.

I

— გაზეტ, გაზეტ, გაზეტ! გაპკიოდა ქუთა-
ისის ტალახიან ქუჩებში პატარა მეგაზეთე.
— ბიჩო! ეი ბიჩო! მოდი, მოდი აკ! მიძახა
ბავშვსფრიად ახოვანმა „სუბიექტმა“ პოლიციური
აქტენტით ბავშმა მიირბინა.
— რომელი გნებათ ბატონო.
— მოიტა „რუსკოე ზნამიუ“... იცი?...
— არ გახლავთ ბატონო...
— მაშ „ნოვოე ვურემია“ მოიტა...
— ჩვენ არა ვყიდიო ბატონო.
— როგორ? რისტვის არა კიდი შენ? მაშ მო-
იტა...

— აი „რეჩი“ ინებეთ, კარგი გაზეთია...
— მოიტა... ვიკიდი, რაც იკნება იკნება!

ახოვანმა სუბიექტმა „რეჩი“ ს 48 ნომერი მო-
კეცა და ჯიბეში ჩაიღვა. ცხადათ ემჩნეოდა რომ
ახოვან სუბიექტს გაზეთის ბევრი არაფერი გაეგებო-
და, მაგრამ დღეს რაღაც განსაკუთრებულ გუნებაზე
იყო.

II

— დუ... დუ... დუ... ა. გე... ნ... ერ... ა. ლა...
სპიჩკის ღვრით მარჯვენა ხელში, სტოლთან მი-
მჯდარი კითხულობდა „რეჩი“-ს პატარა ფელეტონს
ჩვენი ნაცნობი ახოვანი სუბიექტი. ეტყობოდა რომ
დიდს სატანჯველს შეადგენდა მისთვის ეს ხელობა,
მაგრამ ნაცნობმა გვარებმა ვაიტაცეს მათი ყურად-
ღება და რაც უნდა მოსელოდა გადასწყვიტა მისი
ჩათავება.

— ოდე... სკვი... დე... პუტ... ად... ბრო... ც...
კი...

დიდის წამებით ჩათავა ახოვანმა სუბიექტმა
აღნიშნული ფელეტონი .ო. ლ. დორ ისა „დვა
გენერალ“ და სხვათა შორის ვაიგო, რომ გენერალ
ტოლმაჩოვს დიდება თავისი სახელისათვის დეპუტატ
ბროდსკის გაშავებით მოუპოვებია.

ახოვანი სუბიექტის თავში უცებ იელვა საუ-
ცხოვო აზრმა!

— ღმერთო ჩემო, ეს რა მშვენიერი გაზეთი
ყოფილა! უნებლიეთ აღმოხდა გულიდან ახოვან სუ-
ბიექტს. და მართლაც, გაზეთი ხომ მასწავლებელია
მკითხველისათვის, მასწავლებელი კეთილი და აი ახო-
ვანმა სუბიექტმაც უცებ შეისწავლა საშვალება, თუ
როგორ შეუძლია უნიკო და მოუშვადებელ აღმი-
ნისტრატორს ერთი საფეხურით აიცვალოს წარჩი-
ნების კიბეზე.

— მაშ ეგრე! წარმატებისათვის საჭირო ყოფილა
რომელიმე დეპუტატის გაძევება. ჰმ! აი რას ნიშ-
ნავს ნიჭი და მოშადება! ეს ხომ სრულიად უბრა-
ლო რამეა და მაინც ტოლმაჩოვის გენიოსობა იყო
საჭირო, რომ ჩემთვის და მრავალ ჩემგვართათვის ეგ-
ზომ ცხადი გაშადარიყო ..

ახოვანი სუბიექტი ჩაფიქრდა, რამდენათაც, ეს მო-
სახერხებელია უსწავლელი აღმინისტრატორისათვის.

— აკერ რამდენი ხანია ვმსახურებ და თუ არ
პროტექციით, წარჩინებულთა შეწუხებით, ერთ გო-
ჯსაც წინ ვერ წავიწვედი! აცხოვნოს ღმერთმა ნე-
ტარ-ხსენებული აღიხანოვი! ვიდრე ისა მკავდა, ჩე-
მი ვარსკლავი ასე თუ ისე კიდევ ბრწყინავდა, მა-
გრამ მისი ვერაგული მკვლელობის შემდეგ, იმანაც
უხეიროფ იწყო ბეუტვა და ლამის ჩაქრეს კიდევაც.
საკუთარის ნიჭითა და მოხერხებით ჯერ ერთი თფი-
ლი სიტყვაც არ დამიმსახურებია ჟფროსთავან. სა-
კუთარ ქკუას სულ უკან-უკან მივყევარ; რაქაში სა-
მსახურის დროს კინაღამ სრულიად დამლუბა და მო-
დი ახლა სხვისი დარიგებით ნუ ვიხედიმდვანელებ!!

III

ქუთაისის თავად-აზნაურთა კრება ერთს დაუ-
სრულებელ ლანძღვა გინების ღაღადისში იყო. „კე-
თილშობილთა“ წინამძღოლნი აღარ ზოგავდენ არა-
ვითარ „კეთილშობილურ“ საშვალებას, რომ ერ-
თმანეთისთვის თავზე ლაფის შადრევანი გადაესხათ.
ყველა ღირსეულათ გრძნობდა თავს ამ კრებაში,
თავი მოსწონდა კეთილშობილური მქვერმეტყველე-
ბით და ზრდილობით. არა თუ შინაურებს მოსწონ-
დათ თავი, პირიქით, გამოჩნდა ვინმე უცხო, უცხო
ქვეყნის „კეთილშობილი“, რომელმაც მოისურვა ქა-
რთველ ვარსკლავთა შორის ჩარიცხვა.

მაგრამ ჩვენნი წარჩინებულნი „კეთილშობილნი“
ჩინებულათ გრძნობენ თავიანთ მიუწლომელ „კე-
თილშობილურ წარჩინებას“ და არც ეგრე ადვი-
ლათ გააბენდიერებენ ვისმე მათ შორის ჩარიცხვით.

მართლაც, განა ხუმრობაა იმერული აზნაურო-
ბა?! განა ისე უბრალო საქმეა აზნაურ ქაკუნტელა-
ძეთ იწოდებოდენ?! ჰაი, ჰაი, რომ ეს დიდი რამეა-
და აი ამიტომაც ცივი ვარი სტკიცეს უცხოელ „კე-
თილშობილს“, გაქართველ-კეთილშობილებს! სუ-
რვილით უზომოთ გაუაცებულს.

და აი, უცებ წამოიჭრა ვინმე ახოვანი სუბი-
ექტი, მრისხანეთ შეიკრა ნაოქი ვიწრო შუბლისა
თვისისა და დასქეჯა.

— წარჩინებულნო ქართველნო კეთილშობი-
ლნო თავადნო და აზნაურნო! ნუ თუ თქვენი კე-
თილ გონიერება იმ ზომ დაჩლოუნგდა, რომ უბრალო
საქმეთა მიმდინარეობას ველარ აძლევს ანგარიშს? ნე-
უყელი თქვენ უარს ეტყვიო ჩვენს მოძმე რუსს კეთილ-
შობილს, სულითა და გულით აზნაურს, გამსქველულს
თავად-აზნაურული მიდრეკილებით და ამავე დროს არ
გამორიცხავთ ჩვენი წოდებისაგან ისეთ მაღნე პირს,
როგორიც არის დეპუტატი ევგენი გეგეჟკორი, რა-
მელმაც დუმის ტრიბუნლიდან განაცხადა: „ღიახ, სამწუ-
ხაროდ აზნაური ვარო,“ ნუ თუ თქვენი კეთილი
გონიერება საჭიროთ სცნობს ასეთ უბრალო შემთ-
ხვევაში ფიქრსა და ქოქმანს?. მიკვირს, ძლიერ მიკვირს
და უფრო ძლიერ ვსწუხებარ შესახებ ამ გარემოების...

ახოვანმა სუბიექტმა, რომელიც ლეჩხუმელი ფეოდალი ჯანსუყ დადგმქელიანი აღმოჩნდა, ოფლი მოიწმინდა, სახე გაბრწყინებულ კრებას გადახედა და განაგრძო:

— მე ვთხოვლობ, რომ დებუტატი ევგენი გეგეკორი გამოირცხულ იქნას თავად აზნაურთა წოდებისაგან და მის ნაცვლად ჩაირიცხოს ჩვენი მოძმე რუსი აზნაური.

კრება აჩოჩქოლდა და ახმაურდა.

IV.

— ორი გზით ერთი კურდღელი! აჰ, როგორ მოგწონს? ელაპარაკებოდა თავის თავს ჯანსუყ დადგმქელიანი იმ დიდებული კრების შემდეგ.

— ის კი გამოგონია რომ ერთი გზით კაცი ორ კურდღელს მისდევდეს, მაგრამ ორი გზით, რომ ერთ კურდღელს იქერდეს, ეს პირველი მოგონებაა და ისიც ჩემი, ძველი ჩინოვნიკის, მოგონება. ჯერ მარტო ის რათა ღირს ჩემი წარმართებისათვის, რომ რუს აზნაურს გამოვექომაგე და მეორეთ მთავრობის მოწინააღმდეგე დებუტატი გავაძევე! აი რას ნიშნავს ორი გზით ერთი კურდღლის დაქერა. თუ ვეღირსე გუბერნატორობას სწორეთ ახლა და თუ აქაც ბედმა მიმტყუნა. მშვიდობით მაშინ მოსვენება...

ამ ღამით თავადს თითქმის არა სძინებია ისე იტაცებდენ ერთი მეორეზე უფრო წარმტაცი ფიქრები.

ეშმაკი.

სხვათაშორის

Торжествующая свинья.

(იგავისებური)

გოგამ ბალი აკეთა
ბალი კარგი და ქებული,
სხვა და სხვა ნორჩი ხეხილით
ქონდა ის გაშენებული.
მოქარვა ყვავილებითაც,
ჩარგო იქ ია, ვარდები,
იასამანი, ნარგოზი...
რჩეულ-რჩეული, კარკები.
გამოზაფხულდა. ამწვანდა,
გადაიფურჩქნა ბუნება,
სულის და გულის შევებით ავსებდა
გოგის ბალის ყურება...
მაგრამ მურტალმა ღრუნტულამ,
საბინძურეში ვდებულმა,
ჩამოუარა გვერდით ბაღს,
მრავალგზის ლაფით ცხებულმა
და განიზრახა: როს ყველას
მოედებოდა თვალს რული,
ჩაპარულიყო ბაღში და
გაეძლო გული ღორული...
ასეც ქნა: თავის საღორეს
ტოვებდა ყოველ ღამითა
წურწკლ მოდებული ღრუნჩხვდა
ნელის ნაბიჯით, ზღაპრითა

თვალწარმტაც, კეკლუც ბაღშია
ქურდულად ჩაიპაროდა,
ღველემდა ხეხილის ძირებსა,
სქამდა და გულით ხარობდა...

რაკი გულს მოიჯერებდა
და კარგათ გამოძღებოდა,
გასწევდა საღორისაკენ
და ძილათ მიეგდებოდა...

შეწუხდა ჩვენი გოგია,
მტერს ეძებს გაბრაზებული,
თვალყურს ადევნებს თავის ბაღს,
უზომოდ გაჯავრებული
და აჰა, ერთხელ ბაღნარში
ფინიას მოჰკრა მან თვალი
და თქვა: „ეს არის, სწორედ ეს!“
და ... ჩამოახრჩო საწყალი!...

რას იფიქრებდა ფინია—
მას დასწამებდენ მტერობას.
ღორი კი კვლად განაგრძობს
მის ღორულ გაიძვერობას...

კენტი.

დექეშეშე

(„ანათემას“ სააგენტო.)

ქუთაისი. კენჭაობის სეზონი იწყება. როინის პირად თითქმის მოსპეს კენჭებიცა და თევზებიც.

იქიდანვე. ბაზარში ზუთხისა, ლოქოსა და ბეკის ფასმა საშინლათ აიწია. დიდი ფასი დაედო აგრეთვე ჩხავერს და ყიფიანისას, კახურს მაგრე რიგათ არა სწყალობენ ჩვენი კუთხის“ პატრიოტები.


იქიდანვე. ქუთაისის თავდაზნაურთა კრება აპირებს დააგდინოს: რომ ქართველი გლეხკაცობა არ დაელოინდეს და აზნაურთაგან დამოკიდებული არ შეიქნეს, თავისი მემამულეები „მთავარ-ანგელოზ მიხეილის“ კავშირს მიჰყიდოს. ეს დადგენილება თავად აზნაურთა დებუტატის ანდრია ერისთავის პირით ეცნობება ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ქირისუფალს ვლადიმერ პურიშკევიჩს.

იქიდანვე. სანოვანის სიძვირესთან შედარებით ძლიერ გაიფედა ჩვენში სწავლა აღზრდის საქმე. ამას ხელი შეუწყო ცნობილმა პედაგოგმა კონსტანტინე (იგივე კოწია) მკურნალმა. როგორც მოგეხსენებათ მან დააარსა ქ. ქუთაისში „საყოველთაო გიმნაზია“. აქ შესვლა ყველას შეუძლია ვისაც სურს და იმ კლასში რომელშიაც სურს. ასწავლიან საგნებს ესპერანტოს ენაზე და იღებენ ყოველივე ამისათვის და ძრავალი ამგვარებისათვის სულ რაღაცა სამოცდაათ ქანქარს.

იქიდანვე (შემსხვევიათ) როგორც ამბობენ, სვანეთის ფეოდალს, ჯ. დადგმქელიანს დებუტატ-გეგეკორის გამოირცხვის განზრახვისათვის მალე სტრაჟნიკთა ურიადნიკობას მისცემენ, ან არა და ქუთაისში უბნის ზედამხედველათ დანიშნავენო.*)

* აქედან ცხადათ სჩანს, თუ რამდენათ არა საიმედოა ზოგიერთი შემთხვევითი ცნობა დეპუტატთა სააგენტოებისა. ჩვენ ვიცით, რომ ცნობილი ფეოდალი ავტო რამდენი ხანია ვიცოც გუბერნატორი ბრძანდება და მაშასადამე თუ ასწიეს...

ეშმაკი.



ერთი ზატ რა კუნძულო,
 ,,ტიტოსათ“ სახელ-ღებულო,
 ხმელეთის ჩამონადგოეჟი
 შორს ზღვაში გადადებუჟი,
 დამის ძიქს უფროხობს ევროპას,

ზოგი ,,მეარეულომს“ ზოგი მღუეჟს,
 ვერცერთს ვერ გაუტანია:
 ოთხი ხომალდი დარაჟალს
 ჯავშნებით შემოსილები...
 თავს ,,მეარეულებათ“ სახავენ

ლორი და ულელი

გამოიწყო ერთმა გლეხმა
 გაზაფხულზე ერთი ბაღჩა
 და ჩააკლა შიგ ძალ-ლონე,
 ხენა თესვაზე რაც გადარჩა.
 ისე კარგათ მოაშენა
 სოფლის ბაღჩის პირობაზე,
 რომ მთელ უბანს ეყოფოდა
 ბოსტნეულის ძვირობაზე.
 ქინძი, პრასა, ნიახური
 და სხვა და სხვა ძირ-თავიდილი
 აქ იმდენი მოიყვანა,
 რომ გოდრებით ვერ ასკლიდი.
 დაიამა გლეხმა გული,
 დასტკბა, დარდი ვადიყარა,
 (ხუმრობდა კარგი ბაღჩა?
 ერთ ძროხათ ღირს სხვათ თუ არა)
 მეზობლებსაც მეზობლობდა
 ამ ბაღჩიდან იგი ამ დროს,
 უგზავნიდა მოსაკითხად:
 ზოგს კიტრს, ზოგს ნესეს, ზოგს საზაპტროს,
 მარა თქვენს მტერს იმისთანა.
 გლეხს კაცს გული ვადუბრუნდა,—
 შეეჩვიე ბაღჩას ღორი...
 (წუწკი ღორი, რა თქმა უნდა).
 გადათხარა რაც იქ ნახა
 ძირიანი და უძირო.
 (ღორი ღორულს არ მოიშლის
 რომ ულოცო და უწირო.)
 სცადა გლეხმა ძალი ღონე
 მოეშორა ის წყეული,—
 მოამაგრა ძველი დობე,
 ალაგ ალაგ მონგრეული;
 საძრომები გამოდობა,
 ჩაუკვება შიგან სარი!
 არ დაზოგა ამის შემდეგ,
 არც სხვა ღონე და საღსარი.
 დაასია ღორს ძალღებნი,
 ათრია ის და აკურა,
 ასჯერ კეტით გამოუდგა,
 მისი მოკვლაც დააპირა.
 ერთხელ ყურტიც დაათიბა,
 დანით ცხვირიც დაუსერა,
 მარა წუწკი ღორის ჯიში
 ვერა გზით ვერ მოიგერა.
 დანაბოლოს, გულმოსულმა
 სტაცა კლიკში, გლეხმა, ხელი;
 დაიჭირა და მოარგო
 იმერული ყელთ უღელი.
 შეხტა ღორი, შეტრიალდა,
 იწყო ხტუნვა უსაშალო,
 იუცხოვა ქიჩინჩერზე,
 მან შემბული ის საყელო.

ადგა, დაწვა, წაეთრია,
 აკატუნა სიმწრით თავი
 უკანალის ნახახუნნი
 ვადილიტა კულზე ტყავი.
 ზურგი ისე ვადიფხეკა,
 იფიქრებდი სკირსო მუნნი.
 (რა თქმა უნდა, უმოწყალოდ
 ხმელ მიწაზე ნახახუნნი).
 მგზავრმა კითხა გლეხ კაცს: ღორი
 კოფდებოა, თუ რააო?
 გლეხმა უთხრა: „არა, უღლის
 უჩვევია, ურააო!!“
 ჯერ ეს იყოს... შემდეგისთვის
 ქვეას ისწავლის, კავიაო,
 ის უღელიც მისი კისრის
 შესაფერი ბარგიაო.
 მარა ჯავრობს, დახე ერთი,
 უღელს ძალათ არ ირგებსო,
 და სანამ არ მოადგება
 ასე იხიან ცარიკებსო!“
 არ გასულა დიდი ხანი
 დაიმშვიდა ღორმა გული...
 (ხშირათ, ადრე დაწყნარდება
 კაციც იმედ დაკარგული!)
 ადგა დინჯათ, წამოზიდა
 მისი ბარგი ის უღელი
 და მინჯორზე წარაკუნდა
 (შეაჩვია უღელს ყელი...!!!)
 ამგვარ სურათს ჩვენშიც ნახავს
 ვინაც კარგათ დააყურებს:
 ზოგიერთი ვაჟბატონის,
 თუ შეეხე ნამსახურებს
 და დაარქვი მას სახელი
 რაც შეფერის, — დაცქვეტს ყურებს,
 ასტებს ყვირილს, მორთავს ყაყანს,
 მითქმა მოთქმას გაახურებს,
 და სანამ არ მოერგება,
 სწორი თქმული ამგვარ ურებს,
 მანამდის იხვან ცარიკებს,
 იმ ღორივით იფხუკურებს.
 ბლიკვაძე.

მემაკის კალენდარი.

მარტი.

არა ერთგზის თქმულა ჩვენში და მეც ვიტყვი,
 რომ მარტი მეტის-მეტათ ახირებული თვეა, მეტის-
 მეტათ დაუდგარი და ცვალებადი. დღეში ასჯერ
 მოირთვებ-მოიკახმება კახელი პატარძალივით, ას-
 ჯერვე მოიღუწ-მოიდრუბლება. კარამდი ვერ ენ-
 დობი მის პათიოსნებას, როგორც რწმენას ქარ-
 თველი უპარტო ინტელიგენტისას: დღეს ქურქს

მოგახურავს უზომო სიცივე მისი გამკრავი ქარისა, ხვალ პერანგის ამარა გამოგიყვანს მწველი მზის სხივები მარტის დღისა.

მსოფლიო სვრცე. მტკიცე და ჩქარის ნაბიჯით გვიახლოვდება კუდიანი ვარსკვლავი ვალღელისა. მისი მოახლოვება უზომო შიშს გამოიწვევს დედა მიწის კუდიანთა და უკულო არსთა შორის. ამ იშვიათი, მაგრამ აუცილებელი სტუმრის მოვლენება, კულს გამოაბამს მრავალგვარ უმნიშვნელო ამბებს კაცთა შორის.

საერთაშორისო დამოკიდებულება. სამწუხაროდ, მარტი მხოლოდ ჩვენშია ეგზომ ცვალებადი. დედა-მიწის სხვა და სხვა კუთხეებში იმას კვალად სხვა და სხვა გვარი სახე აქვს, რაიცა არსებობდა იმავ ცვალებადობას გამოხატავს. ბალკანეთში ისევ ბეჟუტავს პატარა ნაპერწყალი. საფრთხე ევროპის „მშვიდობიანობისა“. იმატებს არაიყობა სლოვიანთა შორის, მიუხედავად მათი ნათესაობისა, რამეთუ პოლიტიკამ არ იცის ნათესაობა. გაზაფხულის მოახლოების გამო მთელს ევროპასა და აზია-ამერიკაში გულმოდგინებით ფერავენ და ლესავენ იარაღებს... რასაკვირველია არა სამეურნეოს

რუსეთში. ჯერ კიდევ ვერ გამოარკვევენ, არის თუ არა შემოდებული კონსტიტუცია. გუჯკოვი დაჯდება ზღვის ნაპირათ და თანახმად რუსული ანდაზისა „Жди у моря погоды“ უცდის, უცდის რეფორმებს.

ჩვენში. მარტი ჩვენი თვეა! თუ სადმე კი მოსალოდნელია მის მოვლენებას ცვალებადობა მოყვეს, ეს უწინარეს ყოვლისა ჩვენში, საქართველოში. ქუთაისის „ზუბრები“ პირველნი იგრძნობენ გაზაფხულის მზის სიმწვავეს და ერთად შეიყრებიან, როგორც ეს ამერიკელ ბიზონებსა სჩვევიათ საბალახოს სიცოტავს ჯერ ვერ იგრძნობენ და ამიტომ „კეთილშობილურათ“ სხვებსაც სთავაზობენ „იალაღებს“. ერთი მათგანი („დიდირქებიანი“) მოისურვებს „ზუბრთა“ წოდების განწმენდას საფუძვლიანათ, რომ მათ შორის არა რქოსანნი არ ბოგინობდენ.

ქართული მწერლობა. ყველაზე უფრო საგრძნობელი მარტის მოვლინება ქართულ მწერლობისათვის იქნება და მათ შორის იუმორისტული ნაწილისათვის. გაზაფხულის მოახლოება ერთობ აღაფრთოვანებს უახლეს („საფოსტა“), მგოსანთა ოცნებას და მით წარმოშობს მრავალთ უმრავლესს განძს პოეზიისას. „მათრახის“ რედაქცია მე-11 ნომრისათვის მიიღებს:

- 1) „გაზაფხუდლა!!“ ლექსი—ცვარისა (8 სვეტი)
- 2) „ენძელა“, ლექსი სხივისა.—(2 სვეტი)
- 3) „იას შეხდით“, ლექსი პრახთა ი. ყვ. ელ. ს. (6 სვ.)
- 5) «თბოლი სხივი» ლექსი ს. გაზაფხუდელისა (9 სვ.)
- 6) „ტყე იმოსება“ ლქ. იასონ კვირტისა (4 სვეტი)
- 7) «მზეთ ამ-ღისა» ლქ. თომასი (13 სვეტი)

- 8) «ბუნების გაღვიძვა» ლექსი შიოსი (7 სვეტი)
- 9) «სულაზა დნებას» ლექსი პრახთა ხონობისა (24 სვეტი)

კიდევ სხვა და სხვა წერილმანებს, რაიცა ერთად შეადგენს 47 სვეტს, ამგვარათ მეთერთმეტე ნომრისათვის რედაქციას ექნება სულ 123 სვეტის მასალა. მიუხედავად იმისა, რომ ვაზეთ „მათრახს“ სკირია თითო ნომერზე მხოლოდ ორმეტე სვეტი მასალა, ის მაინც დაუწყებს ძებნას ახალ ნაწარმოებებს.

ამავე გაზაფხულის გავლენით და შეიძლება სხვა გავლენათა გამოც, ჩვენმა ეროვნულმა მგოსანმა ა. შანშიაშვილმა დასწეროს ახალი პიესა (თუ პოემა) „ფრთოსანთა შორის“. შეიძლება არც დასწეროს.

პატივცემული დროებისელი ერემია „ბნი სიტყვა“ ოცდა შეათეჯერ გამოიტყობს ჩვენს უბედობას.

ჟურნალისტთა საზოგადოება ორი ხმის უმეტესობით ერთის წინააღმდეგ დაადგენს: არჩეულ იქმნას სამსჯავრო, რომელიც უკანასკნელ მსჯავრს დასდებს „პრესის სინდიკატს“.

ჟურნალისტთა საზოგადოების მიერ არჩეული სამსჯავრო ამოირჩევს კომისიას, რომელმაც უნდა განიხილოს „პრესის სინდიკატის“ საქმეთა საბუთები.

ჟურიალისტთა საზოგადოების მიერ არჩეული სამსჯავროს მიერ არჩეული კომისია აირჩევს ცალკე ქვე კომისიას, რომელსაც მიანდობს უკანასკნელი მსჯავრის გამოთქმას „პრესის სინდიკატის“ შესახებ.

ჟურნალისტთა საზოგადოების მიერ არჩეულ სამსჯავროს მიერ არჩეულ კომისის მიერ არჩეული ქვე კომისია გადასწყვეტს მოიწვიოს საგანგებო კრება ჟურნალისტთა საზოგადოებისა, რათა არჩეულ იქნას კომისია რომელიც გაეკრევა „პრესის სინდიკატის“ შესახებ მოგროვილ მასალებში.

პირველი კრება ჟურნალისტთა საზოგადოებისა აღარ შესდგება.

მეორე კრებას დაესწრება სამი წევრი, რომელიც ამოირჩევენ კომისიას და ორი ხმის უმეტესობით ერთის წინააღმდეგ დაადგენ არჩეულ იქმნას ახალი სამსჯავრო, რომელიც განიხილავს „პრესის სინდიკატის“ საქმეს. და ასე დაუსრულებლივ.

ემშაკი.

მ ო გ ო ნ ე ბ ა .

მშობელი დედის ქირიმი, მისი ნათელი სახისა, წაუშლელ, წმინდა ხატებათ ჩემს გულში ჩანასახისა!..

მისი ნანინა თანა მდევს: დამძახის, მიტკობს სმენასა, გულს ეფინება ნუგეშათ და მიორკეცებს რწმენასა!..

„ანათემა“. კრება მეტად გაამხნევა მისმა მკუხარე სიტყვებმა (ბოროტი ენები ხმობენ, თითქო ბნი „ანათემა“ ლამაზ და მყვირალა ფრაზებს იპარავს სხვა და სხვა წიგნებიდან და შერმე ერთმანეთს აწებებს) ლიგის დანიშნულებათა დაიკოს „ყოველი „პატიოსანი ადამიანი“, კორრესპოდენტთა თავდასხმებიდან. ჯილდოთ „ანათემას“ დღეში („შეურაცხყოფილნი“) მისცენ 12000 ბლისს და 1800 ბოთლს მალაგა-ხერესს.

ჭალადიდი ქალადიდის სადგურის უფროსი ილკო (ილი არ გეგონათ) ხშირათ მუშტებს ივარჯიშებს მგზავრებზე, რომლებიც, მატარებლის მოლოდინში სიბნელეში ჯდომას არ ისურვებენ. რამდენიმე უსაქმო მგზავრი მოვა, თუ მათთვის „საერთო დარბაზი“ გავანათეთ, ხომ დაიღუპა ხაზინარკინის გზა ხომ გაგვიკატრდებოდა. კარგი იქნებოდა ილკოს მავალითს სხვა უფროსებიც მიბაძვდნენ მთავრობის თვალში ისინი დიდ თანაგრძნობას მოიხვეჭენ.



მესტპირული

ორშაბათს გამთენიებდან შაბათის დაჰკრეს ზარია, არ გამიყრია ხელიდან ნაჯახი, თოხი, ბარია, დანაოქებულს შუბლზედა ჩამომდის ოფლის ღვარია, მოწვეტილ ვიყავ ქვეყანას,

როგორც საფლავში მკედარია. ცუდია უმუშევრობა, არც მუდამ შრომა ღირსაო, კაცს ლუკმის გარეც სჭირია ვარჯიში გონებისაო, ვისაც რა უნდა მიანდეს მომკვლელათ დარდებისაო, მე-კი ვენა(ვა, ქამანჩას, და ამ მოქედილ სტვირსაო, ბევრს ასიამებს მაგის ხმა, ბევრიც ითევგენ ყურსაო, აქეთ იქითვან მიღვრენ მუშტებსა თავხედურსაო, რა ჭირს მომქამენ მუქარიით ვერ შემინძრევენ ყურსაო. ღმერთმა დასწყევლოს ლაქსო ორ-პირი მეგობრისაო, ამხანაგებიც ცოტა სჩანს ნაკადი შავის დღისაო... იმათაც წუწუნ გოდებით კრემლები ჩამოსდისაო, მარა რას არგებს მომავალს ჭირილი წარსულისაო. კვლავ საქმე არის საჭირო — ბეჯითი მუშაკისაო. ხალხში იზრდება, მწიფდება სურვილი შეგნებისაო, სკოლა და სამკითხველოსთვის პერანგსაც გაიხდისაო, ოღონდ მიეცით ნამდვილი მაჩვენებელი გზისაო. დიდია გამოცდილება წარსული შავი დღისაო, განვითარება სჭირია დამარცხებასა მტრისაო, ჩვენც გვეყოს გლოვა-ტირილი თუ რამ დავკარგეთ მისაო, საქმეა, საქმე საჭირო, ვისიც გონება სჭრისაო, მისთვის ავიღე მეც სტვირი და გუდა-ტყავი თხისაო ყურში ჩავსძახო მეგობრებს სავალდებულო დღისაო.

შხანკოლა.

ფოთის „გმარე“

(ზუძღენი ლევან „თავ-შავაძეს“ *)

უხვია ფოთის ქალაქი, ამაყობს ბენდიერებით, სამშობლოს ამყვავებელთა სხვა და სხვა მეცნიერებით. ერთი გვეყავს „სახელოვანი“ მგოსანი სახიერებით, ბურჯია „პოეზიისა“, შემკობი მშენიერებით. აგრეთვე პოლიტიკოსობს (დრო გამოშვებით, შერევით); „ფილოსოფიურ“ თემებზე მსჯელობს სხვა და სხვა ენებით,

*) მეგრულათ დუდი, —თავა, —უჩაკი—შავი.

თუ მოგახსენებთ სახელი, ვიცი რომ მოეფერებოთ. „ანათემია“ ფოთელი თაფი სამსე აქვს მწყერებით და გ ნირჩევა სხვათაგან სტომაქის განიერებით. აი ამ „მგოსან“ ლევანსა, მას უქეს კალომის წვერია, „ახალ სიმების“ ავტორი „ცხადათ“ სჩანს „ნიქი-ერია“.

მებრძოლთა შესამკობელათ მას „ჩანგიტ“ აუქლერია, მაგრამ არ ახსოვს უბადრუქს რაც გუშინ დაუწერია. დღეს წინა-ღმდევს ღაღადებს (აღბათ ლოლიკის მტერია)

ვითომდა ხალხის ქიმაგსა დღეს მუშტი მოუღერია სხვასაც კი მოგახსენებენ ერთი — ორი და ბევრია .. (დუბროფ-ს-ხუერძიკეფიანს, საქმე რომ დაუჭრია), ჯერაც მის ნაწარმოებებს აქვს იმისი ჭერია, მაგრამ ამ დრომდე ვს საქმე არავის გაუშხელია — დღესკი გამოჩნდა გრძელ კულა მის შავრახმულა ხელა: მტერს ლოკავს, ფეხ ქვეშ ეგება, ლაქუცობს რო გორც მელია.

თუმც არ თვსდება იოტად კაფაისს ვაშუიდევაია. უწინ „ავენტსა“ ტუქსავდა, ამბობდა: შავრაზმელია, მაგრამ ხომ იცით „ტყავისა შიში“ რა დიდთ მწე-ლია...

ისევ არჩია მუშებსა გააწინას სილა მწველია, ქურდათ უხნეთ მონათლა (თვით რა სიკეთის მქნელია?)

ნეტა თუ იცის ვინ არის შამპანიურის მსმელია? რაზედაც მოსამსახურებს*) ავლიჯეს თმა და წვერია, მერმე მთლად მოსპეს „აფთეკა“ დღეს ოფლით სას-ყიდელია?!

ეს თუ ქურდობა არ არის, სხვა აბა რა ოხერია?) ლევანი ბევრი ამგვარის მოხელე, შემთხუზველია.. მაგრამ, ცხადია, საწერი მასალა შემოვლია. და აირჩია აბრუნდი, მუშებს ჩასქიდა ხელია, რომ გადმოუგდას იზბაშა პურის ნამცეცი სველია; (აღბათ უბოძებს „ნა ჩაის“ ცხადი და უქვევლია!) იზბაში მადლიერი გვაქვს სხვებიც არ არის მტერია, ასე რომ მომავლისათვის, ლომი და დათვის ბელია ფიცს დაუდებენ ერთმანეთს ძმურათ ჩაქიდონ ხელია, და მუშის ზურგზე გააბან „ოდელი დელა, დელია“. გიკანით ძიავ, ვინცა ხარ მოსტყუვდი ჩემო ლევანა, ზნეობით კოტრთა სიაში, გინდოდა თავის შეტანა, მაშ აი, მოსალოცავათ „მათრახსი“ ვაგზანთ შენ-თანა

„აქეშმარტულსა“ სხეულსა მაგრათ დაიკარ ყველგანა, მით გავახარე ეშმაკი, აცინე მთელი ქვეყანა.

ნალარა.

*) „თავშავადი“ ამხანაგებს, კანტორის მოსამსახურებს.

მ ე ს ტ ვ ი რ უ ლ ი .

(რკ. გზ. მთავარ სახელმწიფოსათვის)
დავიწყეთ ჩემო ქამანჩავ,
ნუ დავიდუმეთ პირია,
შრომისთვის ნაყოფს მივიღებთ,
მაგას რა ფიცი სჭირია ..
გულს ნუ გავგიტებს სიმცირე

(იმედს არ ჰკარგავს გმირია).
ერთი ათასათ იქცევა,
ავახმატებილოთ სტეირია.
გადავევივარდა არჩილა?!
მსხვერპლი დროს შენაწერია,
(„ერთი წავა და სხვა მოვა“,
მაგალითები ხშირია!)
თითქო მოხუცდა ქაბუკი,
თვლი აქვს ანატრია.
ცრემლში იხრჩევა კვლავინდურ
არ უქრის ენა, პირია.
ტყვეთ ეჩვენება თვატრი,
და სამკითხველო ქირათა
სახლაპრო ნაუარ-ქექია
კი ისტორიულ გეგრაათა.
შეუძლებელზე ოცნებობს,
და მოსწონს დასაგომბელი..
ხიდი ჩაუტყდა, საბარალოს,
გვექირდება შესანდობელი,
ხამს „სულთა თანა“ ვუმღეროთ
დამამშვენ შესამკობელი..
ახლა უყუროთ ქამანჩავ
ისვენებს ყველა მშრომელი..
ნუ შევიქნებით, ვერილოთ
ტარტაროზისა მგომბელი.
და როს მივილოთ სანაცვლო
ქება და სააღლობელი,
მაშინ ვუწიროთ, რადგანაც
ბევრი გვაქვს საგალობელი..

აღ. ზავლობა

დ ე ვ ე შ ე ბ ი .

(„მეთოხის“ სააგენტო)

ლანჩხუთი. მღვდლები ძლიერ დააფიქრა მაჰ-მადიან მამასახლის-სტრანეიკთა წასვლამ. შიშობენ ზიარებისთვის ხალხს ეკლესიაში ველარავინ შემო-რეკსო.

იქიდანვე. ტყუილია ის ხმები, თითქო ახალი საავტომოტოს ექიმი ხალხს უგულოთ სინჯავდეს; პირიქით, — უფულოთ სინჯავს.

იქიდანვე. ქალბატონი სამკითხველო უნუგეშო მდგომარეობაშია.

(„პროლეტ. ეშმაკის“ სააგენტო)

ხონი. ვაჭრებმა სთხოვეს ი. შარაშიძეს, იშუა-მდგომლოს სადაც ჯერს-არს ერთი საკარტ-ნარდენისტიტუტის გახსნის შესახებ.

ნაოლაღვი. გაიხსნა ქეშტის მომბმელთა სახ. სკოლა. პირველი ქეშტი ქსენონის მურას მოაბეს.

ხონი. მოსწავლე ქალები გაფაციკებით ეძებენ კორესპოდენტს, რომელმაც მათი ლექციის ამბავი გამოააშკარავა.

ღანიჩი. გარდაიცვალა სამკითხველო.

ხონი. ამ წინაზე აქ ერთი მსწრაფლ-მავალი კა-ცი ჩამოვიდა (საათში 1ჩ ვერსი). ხონელებმა გა-

დასაწყვეტეს, იმით იმოგზაურონ ქუთაის-სამტრედიალდე.

კუხი. საამხანაგო ფარდულმა 20000 მ. მოიგო.

ნაოლაღვეი. ავთ გახდა სამკითხველო.

ხონი. ჩვენი სულიერი მამები „ავტოკეფალიის“ მაგივრათ, „სტრატეგოკეფალიის“ მოითხოვენ. („ლიკლიკაძის“ სააქტო)

ოზურგეთი. ყველიერი მშვიდობით ჩაყველიერდა. მუდამ „მასკიანებმა“ „მასკარანდი ვეჩერ.“ გამართეს. პრიზი აიღო პოსკრენიკმა გევიქემ, რომელიც ზანგის მასკით იყო. ვეჩერს ვახშამი მოყვა ვალენტინის ლოტბარობით. ვასიკოს პრტყელი ხანჯლის დანახვამ ვახშმის პოდრაჩიკს ვარდენს ზარალი მიაყენა.

ასკანა. ყველიერში ერობა მეტისმეტი იაფი იყო, რის ქამის შემდეგ ბევრმა ენა ვერ დაამატრა —საშიშრათ მძეინვარებს ნამუსის ტიფი—მიილო გადამდები სენის ხასიათი—ვაიდეშის მოსასპობათ დაიბარეს ერთი ასეული მწყემსი ჯვარიდან (ზუგდელის მახრაშია).

ხადისთავ-ჯვარცმა. ქირვიზაცია აღდგენილი იქნა. დიკირეს სხვათა შორის ორა გრძელ-თმიანი მასწავლებელი და სტუდენტი —მარქსის გიგავს თმებიო. თითონ მარქსი ჯერაც ვერ იპოვეს.

ჩოხაკაური. მოველით ას ყახახს და ორმოც სტრატეგის. სახლები დასკალეს. დასკალეს აგრეთვე ყავახანა, რამაც საერთო გლოვა გამოიწვია. გადაწყვეტილია ყავახანის სახსოვრათ ოცი დღის გლოვა. აღგილობრივი „პეტახთ-ბტოი“ ხსნის სადალქს. გდელი თმის გაკრეჭა და კბილების დაძრობა სოფლის მასწავლებელ-მოსწავლეთათვის უფასო იქნება.

ამალღება. მამასახლისი წეროძე ჯერ-ჯერობით ძალიან მამა... (დამახინჯებულია...)

ბუქნარა (გურიის ბანძა). დიდი მარხვის დადგომის გამო შინაური ფრინველ-პირუტყვთა ქურდობა ერთი კვირით შეჩერებულ იქნება.

ხვარბეთი გადახდილი იქნა უგზაკუტის ქვესი თვის იუბილეი —ბევრმა მიიღო ჯილდო... (შემდეგი —შემდეგი, მავთულის გაწყვეტის გამო გადახდილი.)

მედიკალი — მთლიან იმდენ მომსახურებად

მედიკალი — მთლიან იმდენ მომსახურებად

გრძლა-გრძლათა სწორენ შარადას;

სუყველოს ასე სჩვევია,

კოლო ხომ ერთი ბეწოა,

ისიკ ვი გადაგვრევი:

ბზულით იკლებს შიღამოს

უითომდა... მე ვარ ბიჭიო

შარადის სხარტად გამოთქმისინ

მარტო მე შემწეეს ნიჭიო

ეთილი! თუნდ ასეც იყვეს

ნება აქეს, სულ იბზულიოს

კეენით აუწყოს ქვეყანას,

რაც იმან მოგვატყუოვს!

ბოდიშს მრავთხოვ კოლოსთან

ამ მკვახე სიტყვებისათვის

და შემდეგ ერთ ლექსს მეც დავსწერ, თუ ვარგა, შარადისათვის.

ხშირად „გზის“ ნაცვლათ სიტყვას, ხან „გზასთან“ ერთად, ხმარობენ:

საგნის სივრცელს აღნიშნავს ერთ სიტყვით აღარ კმარობენ.

ამ სიტყვას დართეთ-მეორე, მთელივე, განაშაღები:

თქვენეი მშობელის შვილია, ასულად დანაბადები.

თუ არ გყავთ, იგულისხმევით, სიტყვა კი მაინც აიღეთ!..

და... ბევრს არ ვაქიანურებ, შგონი, შარადაც გაიგეთ!*)

ონისიმე.

ღევეშაი ქახეთიდან.

აწყური. თეთრი გიორგის მონები გაიფიცენ. მოიფხოვენ ბერებისაგან ზრდილობიან მოპყრობას.

შაქრიანი. მამასახლისის ბრძანებით ქაობი აღგილები მკვდარი ძაღლებით ამოავსეს.

(გარეთ კახთი)

პატარძელი. დაჟინებით აპობენ: შეიძლებ ჩვენი საყვარელი ბოქაული გადააყენონო. მიხეზათ იმას ასახელებენ, რომ ნიშანში სროლა არა სკოდნია და ღვინიან სტაქნის მაგივრათ თითში მოარტყა დარაჯსაო.

იქიდანვე. სამაგიეროთ ნიშანში კარგათ იღებს ჩვენი დარდი მანდი მამასახლისი, თუმცა ამ ბოლო დროს ერთი იმის მეოხებით იმასაც გაუტყდა სახელი.

უჯარმა და სართიჭალა. ჩვენი სოფლის ინტელიგენციამ თავს იღვა საშვილიშვილო საქმე: სრულიად მოსპონ მაგარი ანუ მათრობელა სასმელები. ამის გამო უმოწყალოთ ხუხავენ, როგორც არაყსა და ღვინოს, აგრეთვე ძმარსაც

*) ვინ არ გაიგებს შარადას ამგვარათ დანაწერავსა? (ეს ონისიმე ვიღაა კოლოსთან სულა რა ბეზავსა?) მოკლე გამოვა აბა რა თუ ორი სიტყვით ვერავსა, და განმარტებას ბოლოზე ჩემებრ არ მიაწერავსა?

ცოტა სიძნელე სჭირა ამ დარღის გამოყანასა, ამას კი ყველა მიხედება ვინც არ ჩვეს-ანაბანასა, ეს, შარადაზე უფროვე წაავსეს ხმატკილ „ნანასა“ და გაიტაცებს მკითხველებს იმავე გზით, იმ ქვეყანასა. (ცხადია ონისიმე: დაიწყებს თავის ფხანასა, რომ რაცა მიიღებს კოლოსთან ამ მოკლე „სულა თანასა“ და შემდეგისთვის ამ რიგათ აღარ მოუპეის ყანასა.)

დეკემბერი. (შემთხვევითი)

ახალ სენაკი. 28 თებერვლის სხდომაზე სა-
ზოგადოება «მეურნე»-მ ასეთი რეზოლუცია მიიღო-
,,ზარალის დასაფარავათ ეხლავ გაიყიდოს შარშან-
დელი გამხმარი ვაზები“ დიდ თანხას მოვლიან.

ბაქო. ინჟინერი დადიანი ადგილობრივ ქართველ
უმუშევრებს კეთილ საიმედოობის მოწმობებს აძლევს
ამგვარი შენიშვნით Ручаться не могу“.

იქიდანვე. სადგურის წვრილმა მოსამსახურებმა
მხარი დაუჭირეს ბაქოელ ქართველ პატრიოტებს
და ქართული გაზეთის კითხვა სამარცხვინოთ საქმეთ
გამოაცხადეს.

ლიხთური. (გურია) 27 თებერვალს 100 კა-
ციისაგან შემდგარი რაზმი, ყარაშან სურგულაძისა
და დიომიდე სხალაძის წინამძღოლობით გაემგზავრა
,,ჩოლოქის ახალშენის“ ასაღებათ. ხალხი ,,პატრი-
ოტულ“ გრძნობათ აღტყინებასა განიცდის.

სოფ. ახური. ერთგულ შარაძე დიდს მზადე-
ბაშია. ეგზეკუციას მოვლის.

ჭიათურა. ადგილობრივ საავთომყოფოს ეკო-
ნომს შეუვისია ავთომყოფთა ტანსაცმელების სია.
აკლია მხოლოდ ერთი, მარცხენა ფეხის წინდა.

ვილატ ხუმარამ ისაკ ბაინდუროვს თეატრში
ქული შეუგდო, მაგრამ იქ შესვლას ბაინდუროვმა
20 მანეთიანი ქულის დაკარგვა ამჯობინა.

ყვირილა. ადგილობრივმა ქალთა პროგინანზიამ
ფუტკარსავით იყარა ერთი მართვი (ძველი დედა
და 20 ფუტკარი) უწინდელ სკაში დარჩა, ხოლო
მეორე მართვი ახალი დედიტურთ გაფრინდა.*)

იქიდანვე მასწავლებლებს თავი მოაწყინა გა-
ზეთებისა და წიგნების კითხვამ. შეუძღვენ მასკარა-
დების მართვას.

ქუთაისი. ერთმა გემნაზისტმა ასე შეჰფიცა
სიყვარული ერთ გემნაზისტკას: ,,ვეფიცავ გაზეთი
,,ფონის“ ენასა და კორექტურას, რომ გაგიყვებით
მიყვარხარო.**)

გაზუას ნაამგობი.

გული მიკვდება, გაბილავ
რომ გხედავ ასეთ მხდალსაო,
ჩამოღვრემილხარ ვაჟ-კაცი
სულ ძირ ძირ იხრი თავსაო,
რავუყვით მერე, ძამიავ,
ჭირი რომ გიდგას კარსაო,
ამ დროს სჭირია ვაჟ-კაცმა
შემოუძახოს თავსაო!
გამაგრდი ჭირში, ვითა კლდე,

*) აღაშინათა გონიერება გაცილებით მაღლა სდკას
მწერებისაზე. ასეთ ნაადრევ მართობას ფუტკრებში ადგილი
არასოდეს არა აქვს და თუ ეს შენიშვნა ვისმე საეჭვოთ,
ეჩვენოს ჰკითხოს სპ. მახარაძეს. ეშმაკი.

**) აბა ვინ გამოიცნობს: მართლა გიყი ყოფილა გი-
ნახისტი, თუ მართლა ყვარებია გიმნაზისტკა? ეშმაკი.

ნუ ღვრი ცრემლების ღვარსაო,
ტირილი საქმეს ვერ შევლის,
ტყვილათ შეირცხვენ თავსაო...
მოდით აქ ჩემთან უშიშრათ
ამომიდექი მხარსაო!
ნიჩაბი მე მაქვს, ბარი შენ,
გავიყვანთ სწორე გზასაო.
არ შეუშინდე შრომასა,
გაუძლოთ წვალეზასაო.
მარა ჯერ ყური დამიგდე
შენს ერთგულ მეგობარსაო;
ძველ ამბავს გეტყვი, კარგ ამბავს,
ბაბუას ნაუბარსაო!

ვილატა ერთი, ძველ დროში,
ველარ ვიხსენებ გვარსაო,
ახნაურთაგანს ამბობენ.
ეძახდენ ელიზბარსაო,
(თურმე აქ ჩვენში ცხოვრობდა—
გურიის დასამხარსაო!)...
კაცი ბოროტი სულითა,
მუდამ ცდილობდა ავსაო ..
სხვებისა ვაჯავრებულნი,
ყმებზე იყრიდა ჯავრსაო!
მისას ყოველ დღე ნახავდენ
საშიშარ სანახავსაო,
ზოგს ფეხში დანით სერავდა,
ზოგს დაუჩხვდა მკლავსაო
და რომ ძალიან ასწოდა,
ასხამდა მარილ ძმარსაო ..
ან-კი ვინ იყო პატრონი,
ვინ გაიღებდა ხმასაო,
ვინ დაიხსნიდა მხეცისგან,
დაჩაგრულ-დასჯილ ხალხსაო!..
მარა ბოლო აქვს ყველაფერს,
ყველაფერს დასასრულიო,
,,არა რა არის მუდმივი“
ნათქვამი არის ბრძნულიო.
ჩვენს ელიზბარსაც სიკვდილის
კარზე მიადგა ვადაო,
მას თურმე ერთი ყმის შვილი
მოსამსახურედ ჰყავდაო...
ბატონის ერთგულობაში,
სხვა იმას არა ჰგავდაო,
იგი ელიზბარს ძილის დროს
თავზე მარათ ადგაო:
ხან ბუზებს მოუგვრებდა,
ხან ფეხებს გამოფხანდაო.
(სახელს დათიკას ეძახდა,
სხვის ჯფროც ეს უყვარდაო)
მარა ერთ დილას ბატონი,
როცა ძილიდან ადგაო,
კოლისა ნაწყენები
კოფიან დათესა ჰგავდაო,

ერთგულ დათიკას უბრძანა:
 ხუცესთან წადი მალეო,
 მღვდელს აღსარება მიეცი
 კიდევაც ეზიარეო.
 დამპირდა შენი სიკვდილი,
 აღარ იქნები ხვალეო,
 სხვას თუ ვერა რა უყავი:
 შენს სისხლს ხომ მაინც დავლეო!..
 დათიკამ უთხრა: „ბრძანების
 მუდამ ვიყავი მზათაო,
 ვარს ამბუნდაც არ ვიტყვი,
 მარა მკლავ ნეტაც რათაო?
 რა დაგიშავე ბატონო,
 აღაღ-მართალმა ცათაო,
 ან თქვენ რათ არ გაქვს სიცოდე,
 ან სამართალი სადაო?“.
 გაცხარდა უფრო ბატონი:
 „ამაგებს რასა ვხედაო!
 ჩემ ბრძანებაზე, ტუტუტო,
 ურჩობას როგორ ბედაო?!
 ხომ იცი აღარ გადაუთქვამ,
 რასაც, რომ გადაეწყვეტაო?
 გასწი, წაეთერ წუნკალო
 და მეტი აღარ მდლაო!“
 რაღას იზამდა დათიკა,
 წავიდა ხუცესთანაო.
 მივიდა, იმას უამბო
 ყველა ეს გამოცანაო.
 მღვდელმა სთქვა:— მოსაწონია
 ასეთი ბატონ-ყმობაო,
 კარგი ყმა, მისსა ბატონსა
 სიკოცხლით გადაწყობაო.
 დათიკავ, ღმერთმა გაცხონოს,
 მიიღე ზიარებაო,
 მიეგებევი სიკვდილსა,
 ასრულდეს უფლის ნებაო!—
 ნაზიარები დათიკა,
 უკან დაბრუნდა ჩქარაო,
 თვლიც არავის მოუკრავს,
 ბატონთან შეიპარაო.
 ნახა, ეძინა ელიზბარს
 შუბლზე ოფლს დაეყარაო,
 ხმალიც (ნაცადი ყმებუნდა,)
 გვერდთ ედვა, მოეფარაო.
 ხმალს რომ შეხედა დათიკამ,
 ფიქრებმა გაუარაო:
 აღება, იმით მე მომკლავს...
 ცრემლები გადმოღვარაო.
 ცოტა შეჩერდა, იფიქრა:
 ასე არ ვიზამ, არაო,
 რა-კი უმართლოთ მან დამთმო
 მტანჯა და გამამწარაო,
 ვინამ მან მომკლას, სჯობს მოვკლა

ბრიყვი და მეტიჩარაო!..
 ესა სთქვა, მიუახლოვდა
 და წელში მოიხარაო,
 ხელი წაავლო ხმალს ტარში,
 შესძახა: „ძილი კმარაო!“
 ზე წამოვარდნილ ბატონსა,
 სიტყვის თქმა არ აცალაო,
 მსწრაფლ დაჰკრა ხმალი კისერზე,
 თავი ტანს წააცალაო...
 და თან დასძახა მოკლულსა:
 — შენ უნდა მოგეკალიო?
 მერე რისათვის, მტარვალო,
 რა მქონდა შენთან ბრალიო?
 ნუ თუ იმისთვის, რომ შენი
 ვიხადე მძიმე ვალიო?
 ღმერთადა გვთლიდი, მუდამ ეამს
 შენსკენ მექირა თვლიო,
 ფუ, შენისთანა ბატონსა,
 არა ხარ შესაბრალიო!..
 ამოიწმინდა ცრემლები,
 წელზე მოირტყა ხმალიო
 და ამის შემდეგ იმისი,
 არვის უნახავს კვლიო!“...
 ხომ, გაიგონე, გაბილავ,
 ბაბუას ნაუბარიო?

რა დრო ყოფილა ძველი დრო,
 რა ბილწი, საზიზღარიო?
 თუმცა ამ დროშიც ბევრია
 სატირალ-საჩხივარიო,
 მარა ძველ დროზე ახალი
 არ არის მისადარიო!
 ცოტა თუ კიდევ გავსძელით,
 ჩაივლის ნიაღვარიო,
 ვიცი რომ დაილაღება,
 სულ ვერ იქროლებს ქარიო.
 მზე გაუნათებს ქვეყანას,
 გამოვა კარგი დარიო,
 აყვავილდება ბუნება,
 იხარებს მთა და ბარიო.

ირაკლი.


იყიდება „შრომის“ სტამბაში

და ზღრეთვე კბეკ სავანებთ მსურველთ:

1909 წლის „აღმოსავლეთი“ 7 ნომერი
 და „მათრასი და საღამურნი“ 29 ნომერი
 ერთად შეკრული

2—50 კ.

გ ა ს ი ლ ე ბ ა



ოზურგეთის დღეობა:
 ინსტრუქციის აბრეშულო,
 მედიტონი ცემულგუსა ღვრის,
 ფილიმონი გიბერგული.

ეჭვადები ხტუნობენ...
 უბრალო გულით აწვლას,
 შორებინ... დროითი მიანც...
 ათას შიშ და ხათაბუღას.

ქურნალ-გამეტობა.

რამდენი მელანი, კალამი, ქაღალდი, ცრემლი, სიტყვა და ვინ იცის, რა არ დაიხარჯა, რასაკვირველია, საქმეს გარდა, და არ იქნა—არ ელირსა იმის გამოკვევას, თუ რა უშველიდა ქართულ თეატრს, რა წამალი დაიხსნიდა მას სიკვდილისაგან. როგორც ახლა ირკვევა, ეს არც ისე ძნელი საქმე ყოფილა. გამოჩნდა „დროებაში“ ვინმე „ანი“ და თეატრის მოსარჩენათ შემდეგ რეცეპტს იძლევა:

„საქმე ჩაპარდეს ერთი ან ორი და არა, და არამც მეტს; ქართული თეატრი თავად-აზნაურობა უეჭველად დრამატულ საზოგადოებას გადასცეს არა ნაკლებ ექსი-ზვიდი წლით, სრულიად უსასყიდლოთ, განათებით. ქართულ თეატრს (შენობას) აცლიდეს შემდეგ უმოკრესი დემეტრები: ქუჩიდან შემოსავალი გაფართოვდეს და შესავალში მოისპოს მეწერილმანის დუქანი, სადაც ყოველთვის ბიჭ-ბუჭებით არის საესე. თეატრის წინ შუშმანდი გაეთდეს, რომ ვესტიბიულში სიცივე არ შედიოდეს. სტენაზე ზადის (ხრივ მეორე კარები გაკეთდეს. სტენის ქუშ—დეკორაციებისა და ავეჯის საწყობი. აცილებულ იქნას ქარი თეატრში, ლოჯები გაუქვობდეს. შესავალი, ქუჩა თეატრის წინ და ეზო თეატრისა წარმოდგენების დროს მაინც უხვად იქნას განათებული... მოზადდეს რეპერტუარი კარგის თარგმნებით, რაკი ორიგინალურები არ იწერება. ძველი რეპერტუარი კარგათ გაიცხრილოს“...

რეპერტუარის შედგენის დროს წერილის დამწერის აზრით შემდეგი მოსაზრებებით უნდა იხელმძღვანელონ:

...„ჰაზლეტი“ ჩვენს ცხოვრებას არ შეეფერება, ხოლო თუ ჰაზლეტი ოთარად შესცვალეთ, ჰორაკიო ანდურყავად ოფელია სოფიოთ და მოქმედება ზუგდიდში გადიტანეთ, პიესა თავის შინაარსით თურმე ჩვენს ცხოვრებას შეეფერება. ასევე უნდა მოქმედებდეს მეტროლინკს, იბსენს, ზუდერმანს, ჰაუბტმანს, ანდრეევს და სხვათ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ არ გაჰკიცხოს დრამატ. საზოგადოება „ჩვენი ცხოვრების შეუფერებელ პიესების წარმოდგენისთვის“...

...სრულიად უსასყიდლოთ, განათებით, ... შემოსავალი გაფართოვდეს... მოისპოს მეწერილმანის დუქანი... ბიჭ-ბუჭებით საესე. . სიცივე არ შედიოდეს... აცილებულ იქნას ქარი თეატრში*) . . ქუჩა უხვად იქნას განათებული...

აბა, რაცდენი დაჯდება ყველა ეს ნაღდ ფულზე რომ ვინაგარიშოთ, ვინაიდან თეატრი, ეს კერძო საკუთრება, ჩვენმა ავტორმა უკვე ჩამოართვა თავად აზნაურობას სრულიად უსასყიდლოთ, არც ისე ძვირათ, მარა მისი თქმით — „თეატრი იქეთი საქმეა, რომ რამდენიც მეტი იქნება ფული, იმდენათ უკეთ მოეწყობა აქ მხოლოდ მინიმუმის აღნიშვნა შეიძლება: ახალგაზრდათა მომზადებას 10-ს ოთხი წლის განმავლობაში, თითოს 600 მ. წელიწადში, სულ ყოველ წელი 6000 მან., სპი ან ოთხი წლის განმავლობაში 18,000—24,000 მ.; სტენის გასაუმჯობესებლათ: ავეჯს—2500 მ., გარდერობს—4000 მ., ბუტაფორს—1800 მ. სტენის სხვა მოწყობილობას—1000 მ.

*) თეატრში კიდევ შეიძლება ეშველოს ქარს რამე მაგრამ აღნიშნული ავტორის თავი კი ამ მხრის უწყვეტ მომდგომარეობაშია.

სულ—9800 მ., რეპერტუარის მომზადებას—2500 მ.; სუბსილია დასის შესანახათ, რაკი თეატრი ზამთარ-ზაფხულს უსასყიდლოთ გადაეცემა, საკმარისი წელიწადში—5000 მ.“..

მკითხველი, ალბათ, ფიქრობს, რას ერჩოდა ეს კაცი, რომ თავად აზნაურობას თეატრი ასე უცერემონიოთ წაართვაო, მარა ბოლოს მოგონებია ამ კურთხეულს ქართული ანდაზა— „თხის პატრონს აღარც თხის კულიო?!. და ამბობს:

„ხოლო თუ წლის დამლევს თეატრის შემოსავალს (იჯარით გაკემით) გადარჩება მოგება, ეს უნდა მიეცეს თავდა-აზნაურობას, როგორც შენობის პატრონს“...

ყველაფერი მზათაა, მხოლოდ

...ეს საქმე დრამატულმა საზოგადოებამ უნდა მიანდოს უეჭველად ერთს ან ორს. ესენი საქმის მართვაში სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყვნენ. იმის საქმეებში არ უნდა ერეოდეს (გარდა ფინანსური კონტროლისა) არც ერი, არც ბერი, არც აზნაური და არც თავადი!..

ისეთი ქირისუფალიც, როგორც ჩვენი ავტორია, რომ არ გაერეოდეს ასეთ საქმეებში გაცილებით უკეთესი იქნება, რა თქმა უნდა!..

მ ე ღ გ რ ა თ

თუმც უკუმეთურ შავ-ბნელსა წყვილადს შემოღებურას ირგვლივ მთა ბარი შესაზარელი ავისა ენით თავს დაპლრიალებს მძვინვარე ქარი. თუმც ოცნების მთას, იმედის წალკოტს, ბილწი სატანა დაჰპატრონია და იმის წარმტაც ჰარმონიისთვის კვილი-ხითხითი შეუწონია, თუმც სიმართლისა მქადაგებელის დადუმებულა მგოსანის ქნარი და სასოება შეგინებულლი თავს დაჰქვითინებს ცრემლით დამდნარი, მაინც არ გვმართებს უიმედობა, ვაი ვაგლახი, მოთქმა გოდება სწორეთ აქ უნდა მძღავრთ უკმეხობას პირის პირ დგომა და შებრძოლება. ამაყათ, მედგრათ, ხელი ხელს მივცეთ ნიშანი საძმო და საერთოფლოო, სიმართლისათვის მრავლათ შეგვირბოთ ტურფა ყვავილნი სათაიგულოო. გავსწიოთ იქით, სადაც ცისკარი კრთოლვა ციმციმით აღმართავს ალაშს და სხივთ ციალით პირ მშვენიერი გვეამბორება, გვიძღვის ტკბილ სალაშს.

დ. თურდოსპირელი

ღ ა ე ე შ ი ბ ი .

(„მანსელიძის“ სააგენტო)

დარკვეთი. ტყუილია ის ხმები, ვითომც ფრანგების სარეცხი ქარხნის (საძარცვაჲი არ გვეგონოთ) გამგე არაფერს ჰამდეს და მისთვის მადის „კაპლი“ გამოეწეროს. პირიქით ის ერთობ კარგ მადანზეა, რისთვისაც მოუკლო მუშებს 10 - 15 კაპ. დღიური ჯამაგირიდან ..

ჭიათურა. არ აამართლდა ხმები, ვითომც ვასილ გველესიანის დუქანში მის შეგირდს კუდიანი ვარსკვლავი დაჯახებოდეს. როგორც გამოირკვა, შეგირდს ვ. ვასილ გველესიანის მუშტი დაჯახებია და ცალი ლოყა დაუჩიანებია..

ამ დღეებში კიდევ განმეორდა, იმავე დუქანში დაჯახება, რის შესახებაც ექვი კიდევ კუდიან ვარსკვლავზე მიიტანეს, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, არც ეს გამოდგა კ. ვარსკვლავი. აქ, ჩვეულებისამებრ მთრახის კული დაჯახებია ვ გველესიანის ზურგს და გაუკაწრავს..

იქიდანვე. დრ. საზ. გამგეობაჲ ვადასწყვიტა, ვინაიდან წარმოდგენების დროს თეატრში ხშირათ აქვს ადგილი უწესოებას, დამსწრეთაგან, —აწეულ იქმნას თეატრის ბილეთების ფასი 90 ის პროცენტით. რადგან დიდ ფასებში ბილეთები ნაკლებათ გაიყიდება და ხმაურობაც აღარ იქნება.

მათრახის ფოსტა.

რედაქციას ხშირათ მოსდის საყვედურის წერილები დაუბეჭდავ კორესპოდენციათა შესახებ. ამის გამო ერთხელ კიდევ ვაცხადებთ მომდურათა საყურადღებოთ: ეგვეა იმ წერილის დაბეჭდა, რომელიც რედაქციას მოსდის შეუძლებელია. აგრეთვე შეუძლებელია ეგვეასათვის „ფოსტის“ საშუალებით მასუხის გაცემა, ვინაიდან ეს დაიჭერდა ცაზეთის 2—3 გვერდს.

ამიტომ ვინც წერილზე არ აღნიშნავს „ფოსტით მიპასუხეთო“, იმას რედაქცია ვერავითარ მასუხს ვერ გასცემს. სამიძამო. ეღვარდის, არ დაიბეჭდება.

ხონი. ტენის წყლისპირელს. თქვენი ლექსი „მეცხალი ვარ იცოდე!“ ვერ იბეჭდება ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ხოლო თუ ვისთვისმე საჭირო იყო იმის გაგება, რომ „თქვენ ცოცხალი ბრძანდებით“ ამას ახლაც გაიგებენ.

სამხრედიბი. ბუქს. დიდის სიამოვნებით ავასრულდებით თქვენს თხოვნას, რომ შესაძლებელი ყოფილიყო.

შორაპანი. თავებუას. უცილობელი ნიჭი გეტყობათ პოეტობისა და იმედი გვაქვს არც არავინ შეგეცილებათ:

„არ მინახავს ქვეყნაზე შენისთანა ლამზები...“

ტოქკას გიგავს თვალები ხაპეტას წაბრები.“

განმარტება ზედმეტათ მიგვანჩია.

წელიწადი

1910 წლისათვის

მ. მ. რ. ა.

მ ი ი ღ ბ ა ბ ხ მ ლ ი ს მ ო ჟ მ რ ა

უთველ-კვირეული იუმორისტულ ჟურნალზე




უთველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიღვანს, ავეის-ტოს პირველ რიგებში ჟურნალთან ერთათ

კრეფიათ გააგზავნება ახალი პრებული

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлиς, Типография Т-ва „Шрома“, Василю Карамановичу Болквалдзе.



აყხნალო „ზუყრიონიკიან“

ლოცოფიადია ს. ბიხოვისა.

სხ რის. Миша (Ларих).

ეჭიმი. იციო რა მოგახსენოთ?.. ოპერაცია ვაცილებით უფრო რთული გამოდგა, ვიდრე მე მოვლოდი! თუ გნებავთ განვაგრძო, იმ შემთხვევაში ათი თუმანი კიდევ უნდა მომიშატოთ, თუ არა თქვენი ნებაა, გთხოვთ მიბრძანდეთ!